ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/2319-12 14 05 2012 წ.

დადგენილება №001736
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

14.05.2012წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2012 წლის 23 აპრილის №001736 მითითება და 2012 წლის 04 მაისის №001736 შემოწმების აქტი შედგენილი ამხანაგობა "მირაჟი"-ს (მის.: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, ნაკვეთი №034/471) მიმართ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, ნაკვეთ №034/471-ში ამხანაგობა "მირაჟი"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, ოფისები და სხვა) შენობა-ნაგებობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/3945 28.12.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით: სარდაფის სართულზე „თ-დ" მონაკვეთში „1-1" ღერძზე გაუქმებულია ორი კოლონა, ასევე გაუქმებულია ორი კოლონა „9-9" ღერძზე. I სართულზე „6-4" მონაკვეთში „თ-თ" ღერძის მიმდებარედ მონაცვლებულია სადარბაზოს ორი კარი და განთავსებულია კედლის კუთხეში. VIII დან XI სართულის ჩათვლით შემცირებულია შენობის კუთხეებში განთავსებული 16 სამკუთხა ფორმის აივნების ფართი, სათითაოდ დაახლოებით 1.6მ²-ით. სახურავზე ორ ტექნიკურ სართულზე მოწყობილია ორი ფანჯრის ღიობი, რომელიც შევსებულია გისოსებით. „5-5" ღერძზე „3-3" ღერძის მიმდებარედ მონაცვლებულია სავენტილაციო შახტა ამავე ღერძისკენ, დაახლოებით 0.4მ-ით, ხოლო შენობის კუთხეებში შენობის სახურავი წრიულის ნაცვლად კუთხოვანია. „9-1" ფასადზე მოწყობილია რვა წყლის გამაცხელებელი, ერთი სატელიტური ანტენა, ხოლო „9-9" და „1-1" ღერძებთან +51.15 ნიშნულზე მოწყობილია ლითონის მოაჯირები. „1-9" ფასადზე მოწყობილია რვა წყლის გამაცხელებელი, სამი სატელიტური ანტენა, +4.95 ნიშნულზე „6-6" ღერძთან მოწყობილია ორი ფანჯარა. „1-1" და „9-9" ღერძებთან +51.15 ნიშნულზე სახურავზე მოწყობილია ორი ლითონის მოაჯირი. „ა-ნ" ფასადზე მოწყობილია შვიდი წყლის გამაცხელებელი და ორი სატელიტური ანტენა. +4.95 ნიშნულზე „ე-ე" ღერძთან მოწყობილია ორი ფანჯარა. +11.55 ნიშნულზე ამავე ღერძთან

მოწყობილია კონდენციონერი. „ა-ა“ და „ნ-ნ“ +51.15 ნიშნულზე სახურავზე მოწყობილია ორი ლითონის მოაჯირი. „ნ-ა“ ფასადზე მოწყობილია შვიდი წყლის გამაცხელებელი, ხუთი სატელიტური ანტენა და ორი კონდენციონერი, +4.95 ნიშნულზე ე-ე ღერძთან მოწყობილია ორი ფანჯარა. +51.15 ნიშნულზე სახურავზე მოწყობილია ორი ლითონის მოაჯირი.

სამსახურის სპეციალისტის მიერ “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2012 წლის 23 აპრილს შედგენილ იქნა მითითება №001736 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2012 წლის 23 აპრილს), რომლითაც განესაზღვრა 10 (ათი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად

2012 წლის 04 მაისს “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001736 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2012 წლის 04 მაისს), რომლითაც დაფიქსირდა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2012 წლის 14 მაისს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ, სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე არ გამოცხადდა ამხანაგობა “მირაჟი”-ს წარმომადგენელი.

ობიექტი გადამოწმებულ იქნა სამსახურის მთ. სპეციალისტის ლ. ცინცაძის მიერ, რომელმაც დააფიქსირა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ამხანაგობა “მირაჟი”-ს მიერ ჩადენილია “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის 23-მუხლის “ა” პუნქტის “ა.გ.” ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, ნაკვეთ №034/471-ში ამხანაგობა “მირაჟი”-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, ოფისები და სხვა) შენობა-ნაგებობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/3945 28.12.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით: სარდაფის სართულზე „თ-დ“ მონაკვეთში „1-1“ ღერძზე გაუქმებულია ორი კოლონა, ასევე გაუქმებულია ორი კოლონა „9-9“ ღერძზე. I სართულზე „6-4“ მონაკვეთში „თ-თ“ ღერძის მიმდებარედ მონაცვლებულია სადარბაზოს ორი კარი და განთავსებულია კედლის კუთხეში. VIII დან XI სართულის ჩათვლით შემცირებულია შენობის კუთხეებში განთავსებული 16 სამკუთხა ფორმის აივნების ფართი, სათითაოდ დაახლოებით 1.6მ^2-ით. სახურავზე ორ ტექნიკურ სართულზე მოწყობილია ორი ფანჯრის ღიობი, რომელიც შევსებულია გისოსებით. „5-5“ ღერძზე „3-3“ ღერძის მიმდებარედ მონაცვლებულია სავენტილაციო შახტა ამავე ღერძისკენ, დაახლოებით 0.4მ-ით, ხოლო შენობის კუთხეებში შენობის სახურავი წრიულის ნაცვლად კუთხოვანია. „9-1“ ფასადზე მოწყობილია რვა წყლის გამაცხელებელი, ერთი სატელიტური ანტენა, ხოლო „9-9“ და „1-1“ ღერძებთან +51.15 ნიშნულზე მოწყობილია ლითონის მოაჯირები. „1-9“ ფასადზე მოწყობილია რვა წყლის გამაცხელებელი, სამი სატელიტური ანტენა, +4.95 ნიშნულზე „6-6“ ღერძთან მოწყობილია ორი ფანჯარა. „1-1“ და „9-9“ ღერძებთან +51.15 ნიშნულზე სახურავზე მოწყობილია ორი ლითონის მოაჯირი. „ა-ნ“ ფასადზე მოწყობილია შვიდი წყლის გამაცხელებელი და ორი სატელიტური ანტენა. +4.95 ნიშნულზე „ე-ე“ ღერძთან მოწყობილია ორი ფანჯარა. +11.55 ნიშნულზე ამავე ღერძთან მოწყობილია კონდენციონერი. „ა-ა“ და „ნ-ნ“ +51.15 ნიშნულზე სახურავზე მოწყობილია ორი ლითონის მოაჯირი.

„ნ-ა“ ფასადზე მოწყობილია შვიდი წყლის გამაცხელებელი, ხუთი სატელიტური ანტენა და ორი კონდენციონერი, +4.95 ნიშნულზე ე-ე ღერძთან მოწყობილია ორი ფანჯარა. +51.15 ნიშნულზე სახურავზე მოწყობილია ორი ლითონის მოაჯირი.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის მე-14 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-17 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-18 პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23-ე მუხლის “ა” პუნქტის “ა.გ.” ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ამხანაგობა “მირაჟი” დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;
2. ამხანაგობა “მირაჟი”-ს დაევალოს, “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ამხანაგობა “მირაჟი”-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.
4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, “დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ”, ხოლო “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით “დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.
5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი **ხ. კერვალიშვილი**

საგადახდო დავალება
Payment Order

1 GEL

თარიღი / Date: 13/06/2012

ს.ს. "თიბისი ბანკის" ვაჟა ფშაველას გამზირის სც #1

რეფერენსი / Ref. Num.

871923933

გადამხდელი / Sender

ამხანაგობა 'შირაჟი' - 205226263

გადამხდელის ანგარიში/ Sender's Account GE76TB0662436050100002

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

ქ.თბილისი, სს თიბისი ბანკის სათაო ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის სახელზეც სრულდება გადახდა

Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name ამხანაგობა 'შირაჟი'

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 205226263

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თბილისი)

ბიუჯეტის ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. / Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank /Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება N 001736 , ნაკვეთი N 034/471

თანხა / Amount

4000 GEL

თანხა სიტყვიერად

Amount in words

ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

სს "თიბისი ბანკი". ვაჟა-ფშაველას სც №1 040049

შემოწმებულია

შესრულების თარიღი / Operation Date

13/06/2012

ბანკში შემოსვლის თარიღი /Received

13/06/2012

ხელმოწერა

Signature

შტამპის ადგილი

ხელმოწერები

Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

6/13/2012 10:29:21 A 871923933 შოთა ქუთათელაძე